„გვხსოვდეს ვიცი გორიცხა ხსრ!“

გვარი და ცრადიცია

4 (42)

აპრილი 2017 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

სეიფფორმაციო ქრონიკა

2017 წლის 3 აპრილს გაიმართა გვარების წინამძღოლთა დარბაზის შეკრება.

შეკრებაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

– საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II. აღსაყდრებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამოსათვის მზადების შესახებ. ინფორმაცია გააკეთა მარად კიტოვანმა.

დაისვა საკითხი თანხების მოზიდვის შესახებ. საღამოს ატრიბუტიკისათვის (მოსაწვევები, სიგელები, დიპლომები), ასევე მონაწილეთათვის სუვენირების შესაძენად.

გადაწყდა გვარების წინამძღოლების შემოწირულობებით დაფარულიყო ყველა ხარჯები.

– ბერების საძვალეს მშენებლობის შესახებ – ინფორმაცია გააკეთეს თენგიზ მაისურაძემ და ფრიდონ ლოლაძემ. მათ აღნიშნეს, რომ მშენებლობისათვის თანხები შემოწირეს ფრიდონ ლოლაძემ, თენგიზ მაისურაძემ, მერაბ ლეკვეიშვილმა, ვაჟა ნადირაშვილმა.

– ბატონმა საველ მარსაგიშვილმა წამოაყენა წინადადება გვარიშვილთა საერთო ხატის შექმნის შესახებ. წინადადება გვარის წინამძღოლების მიერ მოწონებული იქნა. დაევალა ბატონ საველ მარსაგიშვილს და ნინო სულამანიძეს საკითხების ორგანიზება.

2017 წლის 12 აპრილს გაიმართა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ხათუნა სხირტლაძე, მარატ კიტოვანი, მერაბ ლეკვეიშვილი, მზია წიკლაური.

გამგეობის თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო სხდომას თავმჯდომარეობდა მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი.

განიხილეს შემდეგი საკითხები:

– კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ წევრებად მიღების შესახებ. დაადგინეს კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ წევრებად მიღებული იქნან მოქალაქე ფიზიკური პირები შოთა ზედგენიძე, ალექსანდრე გულაშვილი, ოთარ კერვალიშვილი. საგვარეულოთა კავშირები ბრეგვაძეთა საგვარეულო კავშირი „ღვთის შვილები“, კერვალიშვილების, გულიაშვილების, განიხილეს საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II–ის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამოს ჩატარების საკითხები.

განისაზღვრა პროგრამა, საღამოში მონაწილე გუნდები, ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები. საღამოს რეჟისორად დამტკიცდა ამბროლაძეთა გვარის წარმომადგენელი ლაშა ამბროლაძე. საღამოს ჩატარების ადგილად განისაზღვრა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვანების“ სააქტო დარბაზი. იყო მსჯელობა საღამოს ჩატარების სხვადასხვა საკითხებზე.

გვარიშვილთა ჰიმნი

კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი
ტექსტის ავტორი ვაჟა ნადირაშვილი

ქართველნო თქვენს გენს ლოცვა–კურთხევა,
ფუძის სიმტკიცე, გვარის მრავლობა,
რომ წინაპართა კვალს მიჰყვებოდეს
თქვენი ამაყი შთამომავლობა.
დავდგეთ იქ სადაც გვარიშვილობა
აღორძინდება მთიდან ბარამდე
და საქართველო კვლავაც გვეხილოს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.
მრავალფამიერ გვარიშვილობას,
გვარის მრავლობას

ქრისტე აღდგა!

გიხარიოდეთ,
შეგეწიოთ უფლის მადლი!

ქრისტე აღდგა -
საქართველოვ,
აღორძინდი, გამიხარდი!
გაიხარეთ ქართველებო,
წარსულს გაჭეყვეს ძველი დარდი,
გულს ნაღველი გადიყარეთ,
დაგეფინოთ ჭირზე ვარდი!
სავალ გზებზე სიყვარული
მოგყვებოდეთ გზად და ხიდად,

ქრისტე აღდგა,
გიხაროდეთ!
ქრისტე აღდგა,
ჭეშმარიტად!

ნარგიზა ტურძილაძე

გვარიშვილთა მხატვრული

2017 წლის 21 აპრილს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II–ის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამო.

ხატების და ნამუშევრების გამოფენა

საღამოში მონაწილეობდნენ:

საჩხერის ბავშვთა გუნდი „ჩანამღერი“ – ხელმძღვანელი დიმიტრი კაპანაძე, გ. ცაბაძის სახელობის 25–ე ხელოვნების სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრი – ხელმძღვანელი ნანი ბრეგაძე, საოჯახო ანსამბლები დუშეთის რაიონიდან –გორელიშვილების, ახალციხიდან – თელიაშვილების, თბილისიდან – ადამაშვილების, მეჩონგურეთა ანსამბლი – ბაკურ კოჭლამაზაშვილის ხელმძღვანელობით, საგვარეულოთა კავშირების წარმომადგენლები: – ნინო ნადირაშვილი, თამარ ოთანაძე, ანი კეკუა, და–ძმა კიწმარიშვილები, შორენა კოჭლამაზაშვილი, აკაკი კიტოვანი, ნათელა სულამინაძე. საღამოს რეჟისორი იყო ლაშა ამბროლაძე, წამყვანი – შორენა კოჭლამაზაშვილი, ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელა – ზურაბ ჭიკაძემ.


ცაბაძის სახელობის 25-ე ხელოვნების სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრი

საღამო დაიწყო გვარიშვილთა ჰიმნით, რომელიც მიმდინარეობდა ვიდეო–კლიპის ფონზე. ჰიმნის მუსიკის ავტორია ჯემალ ადამაშვილი, ტექსტის ავტორი ვაჟა ნადირაშვილი, კლიპი შექმნა გელა ბორაშვილმა.

ჰოლში მოეწყო საგვარეულო კავშირების ხატების გამოფენა. აგრეთვე საგვარეულო კავშირების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მათ მიერ შესრულებული მხატვრული ტილოები: მაისურაძეებმა ფერწერა, კოჭლამაზაშვილებმა თექაზე ნამუშევრები, გოცირიძე–ნადირაშვილებმა მხატვრული შესრულებით ქარგვითი ტილოები.

ნინო ნადირაშვილი

დასასრულს დამსწრეებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა.

მან მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მობრძანებისათვის, მონაწილეებს შესრულებული სიმღერებისათვის ასევე გადაუხადა მადლობა საპატრიარქოს ტელე-

ორგანიზატორები და მონაწილენი

თვითშემოქმედების საღამო

ადამაშვილების ოჯახური ანსამბლი, თბილისიდან

თელიაშვილების ოჯახური ანსამბლი ახალციხიდან

ვიზია „ერთსულოვნების“ ხელმძღვანელს მამა მიქაელ ფოფხაძეს დარბაზის დათმობისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ქალბატონ თამარ არჩვაძეს–საღამოს ორგანიზებაში დახმარებისათვის და ტექნიკურ პერსონალს. საღამოს ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილის დიპლომები და სამკერდე ნიშნები, ანსამბლებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს გადაეცა სამახსოვრო სუვენირები.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: თამარ არჩვაძე – ტელევიზია „ერთსულოვნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ცირა ცანავა – ტელევიზია „ერთსულოვნების“ შუადღის გადაცემის რედაქტორი, ია ბედოიძე გადაცემის წამყვანი – საგვარეულო მოძრაობის წარმოჩინების და პროპაგანდისათვის, საღამოს რეჟისორი – ლაშა ამბროლაძე, რეჟისორის თანაშემწე ტექნიკით უზრუნველყოფისათვის ზურაბ ჭიკაძე, საღამოს წამყვანი შორენა კოჭლამაზაშვილი, საჩხერის ბავშვთა გუნდის „ჩანამღერის“ ხელმძღვანელი დიმიტრი კაპანაძე, გ. ცაბაძის სახელობის 25–ე სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი ნანი ბრეგაძე, გვარიშვილთა ჰიმნის მუსიკის ავტორი კომპოზიტორი – ჯემალ ადამაშვილი, ჰიმნის ტექსტის ავტორი ვაჟა ნადირაშვილი, ჰიმნის აჟღერებისათვის მომღერალ გუნდ „მძლეველის“ ხელმძღვანელი კახა ონაშვილი, ჰიმნისთვის კლიპის შემქნელი გელა ბორაშვილი, საღამოს ორგანიზებისათვის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავჯდომარის მოადგილეები თენგიზ მაისურაძე და ხათუნა სხირტლაძე, გამგეობის წევრი მარად კიტოვანი.

საჩხერის ბავშვთა გუნდი

საღამომ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეს იყო პირველი მცდელობა ამგვარი ღონისძიების ჩატარების, ეს არის საფუძველი შემდგომი უფრო მასშტაბური ფესტივალის ჩატარებისათვის.

საღამო გააშუქა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ შუადღის პროგრამამ და პროგრამა „სიახლენმა“.

როგორ ღაიღგა ფილმი „გიორგი სააკაძე“

(ნაწყვეტები კანდიდ ჩარკვიანის წიგნიდან, „შეხვედრები სტალინთან“)

ომამდელ წლებში ცენტრალურ კომიტეტს ძლიერ აფიქრებდა საქართველოს კინემატოგრაფიის მდგომარეობა. შვიდი სრულმეტრაჟიანი ფილმიდან, რომელსაც კინოსტუდია უკვე იღებდა, კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტმა 1938 წელს ექვსი წარმოებიდან მოხსნა. ამის შემდეგ ჩვენმა კინოსტუდიამ კარგა ხანს წელი ვერ გამართა. 1939 წლიდან დაისახა დიდი მასშტაბის მხატვრული სურათების დადგმის პერსპექტივა. ახლო წლებში უნდა შექმნილიყო ორი მონუმენტური ფილმი – „ფიცი“ და „გიორგი სააკაძე“. ორივე მიხეილ ჭიაურელს უნდა დაედგა.

ცენტრალური კომიტეტი ფხიზლად ადევნებდა თვალს ფილმების სცენარებზე მუშაობას. 1940 წლის შუახანებისათვის „გიორგი სააკაძის„ ლიტერატურული სცენარები მზად იყო: ერთი ეკუთვნოდა გოგლა ლეონიძეს, მეორე – მწერალ ქალს, ანა ანტონოვსკაიას, და მის ვაჟს, ბორის ჩორნის. ორივე სცენარი წავიკითხე. ავტორებს ვესაუბრე. მათ ზოგი რამ შეასწორეს ცენტრალურ კომიტეტში გაკეთებული შენიშვნების მიხედვით. საბოლოო სახით კინოსტუდიამ სცენარები კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტს წარუდგინა.

მაშინ კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარედ ი. ბოლშაკოვი მუშაობდა. მან და კომიტეტის სამხატვრო საბჭომ საკითხის გადაწყვეტის იოლი გზა გამონახეს: სცენარები გასაცნობად სტალინს გადაუგზავნეს, თვითონ კი რომელიმე მათგანის დასადგმელად მიღების პასუხისმგებლობას მოერიდნენ.

და აი, 1940 წლის ოქტომბერში კინემატოგრაფიის კომიტეტსა და სცენარის ავტორებს შემდეგი წერილი მოუვიდათ:

„ამ დღეებში მივიღე ორი სცენარი „გიორგი სააკაძის„ თემაზე: ერთი – ანტონოვსკაიას და ჩორნისა, მეორე – ლეონიძისა.

ჩემი აზრით, ლეონიძეს სცენარი არ გამოსვლია. იგი მხატვრულად ღარიბია, ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით ერთგვარად პრიმიტიული.

ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი თავისუფალია მსგავსი ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ მას სხვა ნაკლი აქვს. იგი მთავრდება გამარჯვებით, სააკაძის პოლიტიკისა და თვით სააკაძის აპოთეოზით, მაგრამ ასეთი ფინალი, როგორც ცნობილია, არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ქმნის ყალბ წარმოდგენას საქართველოს წარსულზე. ნამდვილად კი, როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკა, თუმცა ის საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით პროგრესული იყო, დამარცხდა და თვით სააკაძე დაიღუპა, ვინაიდან სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის, ე. ი. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის, მეფის აბსოლუტიზმის დამყარებისა და თავადების ძალაუფლების ლიკვიდაციით გზით. მიზეზი ცხადია: თავადები და ფეოდალიზმი აღმოჩნდნენ უფრო ძლიერები, ხოლო მეფე და აზნაურობა – უფრო სუსტები, ვიდრე სააკაძეს ეგონა.

სააკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და დააპირა მისი დაძლევა საქმეში გარეშე (უცხოური) ძალის ჩაბმით, მაგრამ გარეშე ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. ეს ასეც მოხდა, როგორც ცნობილია. ამ გადაუწყვეტელ წინააღმდეგობათა ვითარებაში სააკაძის პოლიტიკა უნდა დამარცხებულიყო და, მართლაც, დამარცხდა.

ვფიქრობ, რომ ეს ისტორიული სიმართლე უნდა აღდგეს ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარში.

და თუ ეს აღდგება, მაშინ ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი შესაძლებელი იქნება შეფასდეს, როგორც საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ–ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

სტალინი, 11/X/1940 წ.“

სტალინის არჩევანი მაშინ ჩემთვის მოულოდნელი იყო. მე ლეონიძის სცენარი უფრო მომწონდა. ეს იყო წარმტაცი რომანტიკული თხრობა გიორგი სააკაძის წინააღმდეგობებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით სავსე ცხოვრების შესახებ. სცენარი გხიბლავდათ პოეტურობით, ემოციურობით, მაგრამ უფრო მეტს გეუბნებოდათ ავტორის დამოკიდებულებაზე საყვარელი ისტორიული გმირის მიმართ, ვიდრე ეპოქის ნამდვილ ისტორიულ მოვლენებზე.

სტალინი არ გაიტაცა ლეონიძის სცენარის გარეგნულმა პოეტურმა ატრიბუტებმა. მას აინტერესებდა ფილმში მხატვრულად ასახულიყო ისტორიული სინამდვილე და არა „ჩვენი ამმაღლებელი ტყუილი“, რომანტიკული გამონაგონი.

ფილმის დადგმაზე მუშაობამ და თვით ფილმმა სტალინის არჩევანის სისწორე საბოლოოდ დაადასტურეს.

ომი სწლებში ასეთი გრანდიოზული ფილმის გადაღება ადვილი არ იყო. ის სტალინის ხელშეწყობით მოხერხდა.

ასე წარმართავდა საქართველოს კომპარტიის ცკ კინოსტუდია „ქართული ფილმის„ მუშაობას „სააკაძის„ დადგმისათვის კი მას კიდევ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა: ფილმის სცენარი ხომ სტალინმა მოიწონა და ომის დროს მისი დადგმაც სტალინის თაოსნობით გაგრძელდა.

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871